სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან.

1990
შაბათი
24
ივლისი
№88 (10325)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## იტალია — საქართველო: საქმიანი კონტაქტების მერიდიანები

ამ დღეებში ზუგდიდის დელეგაცია საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ოლეგ აზარიას ხელმძღვანელობით იმყოფებოდა იტალიაში საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი თ. ჭითანავა, ფაიფურის ქარხნის დირექტორი ჯ. სოხელია, ჩაის ექსპერიმენტალური ფაბრიკის დირექტორი ნ. გულუა, ჩაის კომბინატ „ოდიშის" დირექტორი მ. დარასელია და რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, საქართველოს სახალხო არტისტი ბ. წიფურია.

იტალიურ შთაბეჭდილებებზე რამდენიმე კითხვით მივმართეთ დელეგაციის ხელმძღვანელს:

## შთაბეჭდილებამ მოლოდინს გადააჭარბა

—უპირველეს ყოვლისა, ხად და როდის იშვა იტალიაში ზუგდიდელთა დელეგაციის გამგზავრების იდეა?

—იტალიასთან საქმიანი ურთიერთობა დამყარდა ჯერ კიდევ ამ 20 წლის წინათ. ჩაის საწნეხი ფაბრიკის მაშინდელი დირექტორი გ. სოსელია გახლდათ ინიციატორი ჩაის ვირთჯერადი დაფასოების დანადგარ-მოწყობილობათა მწარმოებელ ფირმა „სოტეკოსთან" საქმიანი კონტაქტებისა, რაც გამოიხატა აღნიშნული ფირმიდან ტექნოლოგიის შეძენით. ამ კარგი ტრადიციის გამგრძელებლად მოგვევლინა ჩაის ექსპერიმენტალური ფაბრიკის დირექტორი ნ. გულუა. სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო ჩვენი დელეგაციის გამგზავრება იტალიის ქალაქ ბოლონიაში.

—რას ელოდით ამ მოგზაურობისაგან და დაემთხვა თუ არა შთაბეჭდილებები მოლოდინს?

—ჩვენი ძირითადი მიზანი იყო ჩასახული საქმიანი კონტაქტების გაღრმავება. მაგრამ ამასთან ერთად დიდი სურვილი გვქონდა დაგვემყარებინა მეგობრული ურთიერთობა იტალიელებთან, კერძოდ ქალაქ ოზანისთან, სადაც არის განლაგებული ჩვენი მასპინძლების ფირმები, პრაქტიკულად მიღწეულ იქნა ორმხრივი ხელშეკრულების დადება, რომელიც გულისხმობს სხვა მომენტებთან ერთად კულტურის, ხელოვნების, განათლების, სპორტის სფეროში დელეგაციების გაცვლას. ქალაქ ოზანის მუნიციპალიტეტთან დოკუმენტის გაფორმებით დასაბამი მიეცა ზუგდიდისა და იტალიის ამ თვალწარმტაცი ქალაქის დამოყვრებას.

—როგორც ქალაქის მერმა, თუ შეამჩნიეთ ოზანის მმართველობით სისტემაში ისეთი მექანიზმები, რომლის გადმოღებას ისურვებდით ჩვენს სინამდვილეში?

—ოზანაში ყოფნამ თვალნათლივ დაგვარწმუნა, რომ იტალიელთა ცხოვრების წესი, დორებულებათა სისტემა სრულებით არ გახლავთ რაღაც განსაკუთრებული ფენომენი. ეს ის მთლიანი, რომელიც ნებისმიერ მაღალგანვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყანას ახასიათებს. თვალში საცემია თვით ინდივიდის, პიროვნების ფაქტორი, მისი დამოკიდებულება, პროფესიონალიზმი. იტალიელთა ცხოვრების ქვაკუთხედია ლეგალურობა—საქალაქო ცხოვრების ინფრასტრუქტურა არსებობს ადამიანისათვის და არა პირიქით. მართვის საბჭოური სტრუქტურები კი სამწუხაროდ დღემდე ვერ განთავისუფლებულან იმ ბიუროკრატიული სალტეებისაგან, რომლებიც მიჯაჭვული დავალებისაგან მუშაკის გაუცხოებას უწყობს ხელს. ყოველდღიური რეალობა გვარწმუნებს, რომ ხსნა ყველა დონის სამსახურების თვითმმართველობის პრინციპებზე გადაყვანაშია, ოღონდ ამ პროცესში დამაჩქარებელ იმპულსად უნდა ჩაიდოს მატერიალური დაინტერესების მექანიზმი. ისევ ვიმეორებ, გასაოცარია ნებისმიერი მუშაკის დამოკიდებულება საქმისადმი, საერთოდ შრომის კულტურა, კომპეტენცია. ყოველივე ეს ვიგრძენით ფირმის წარმომადგენლებთან, მუშებთან შეხვედრებისა და საუბრების დროს.

—იტალიელებს ტემპერამენტით ქართველებს ადარებენ. რაიმე კორექტივი ხომ არ შეუტანია წმინდა ადამიანურ კონტაქტებს ამ მოარულ ფორმულაში?

—ამთავითვე გეტყვით: იტალიელები საოცრად მომხიბვლელი ხალხია. სტუმართმოყვარეობით, გულითადობით და თავაზიანობით მართლაც შეუძლიათ უშეღავათო კონკურენცია გაგვიწიონ ქართველებს. ჩვენს მიერ შეთავაზებული ყოველი ინიციატივა, დაკავშირებული ჩვენი ხალხების დამოყვრებასთან, მასპინძლების მიერ პირდაპირ საოცარი ენთუზიაზმით იქნა ატაცებული. ეს განწყობილება მსჭვალავდა ჩვენს შეხვედრებს შრომით კოლექტივებთან, მუნიციპალიტეტში, ცალკეულ ოჯახებში მიწვევების დროს. მოგვხიბლა სოფლის მეურნეობის კულტურების მოყვანის, საერთოდ მიწათმოქმედების ტრადიციის თავისთავადობამ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობ ადამიანთა ლტოლვას პროდუქციის სიუხვის შექმნისაკენ. ამ მხრივ ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავებას ვერ შეატყობ.

—და ბოლო კითხვაც. დაგვასახელეთ პირველი რიგის სტრატეგიული ამოცანები, რომელთა გადაუდებლად გადაწყვეტისაკენ გიბიძგებთ იტალიაში ნანახი და განცდილი?

—უპირველეს საბრძოლო ამოცანად გვესახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგიების სრულყოფა, ქალაქის ინფრასტრუქტურის დონის აწევის მექანიზმების დანერგვა. ამ საქმეში, [illegible], იტალიელი მეგობრების პრაქტიკულ დახმარების, მათივე გამოცდილების გამოყენებას. ვფიქრობთ, გამოინახა ურთიერთ საქმიანი თანამშრომლობის რეალური გზები, რომლის პრაქტიკულ შედეგებსაც ჩვენი მოსახლეობა უცილოდ იგრძნობს.

მინდა მკითხველებმა იცოდნენ, რომ ჩვენი მოწვევით მალე ზუგდიდში ჩამოვა დელეგაცია ქ. ოზანის მერის ხელმძღვანელობით.

ესაუბრა ზ. ცხონდია.

## შეხვედრა მწერალთან

იმ დღეს განსაკუთრებულ სითბოს მოეცვა ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკა. 18 ივლისს აქ ერთი შესანიშნავი ღონისძიება მოეწყო. ეს იყო შეხვედრა ზუგდიდელ მწერალ ჯემალ ქირიასთან.

პოლიტიკური პროცესებით გაჯერებულ დღევანდელ ცხოვრებას საოცრად ავსებს ყოველი კულტურული ნაბიჯი, მით უმეტეს ავტორსა და მკითხველს შორის დამყარებული მჭიდრო კონტაქტები. ეს ხაზი გასდევდა ბოლომდე შეხვედრასაც, რომლის ორგანიზატორი იყო ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

ღონისძიების მასპინძლებმა და სტუმრებმა გულწრფელად, ჩვეული სიყვარულით ილაპარაკეს ნიჭიერი მწერლის შემოქმედებაზე, გაარჩიეს მისი ნაწარმოებები, კითხვებით ამოწურეს საკითხები, რომლებიც მათ აინტერესებდათ. შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა.

ასეთი ღონისძიებები უთუოდ შეუწყობენ ხელს მკითხველთა დონის ამაღლებას; რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

რ. მიქენაია.

ჩაი — 90

## სხვაობა კვლავ საგრძნობია

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სეზონის დასაწყისიდან დამზადებულია 31387 ტონა ჩაის ნედლეული. ანუ წლიური დავალების 30,2 პროცენტი.

საანგარიშო თვეში მწვანე პლანტაციების მშრომელებმა მოკრიფეს 7932 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. 22 ივლისს მოიკრიფა 516 ტონა.

მექანიზირებული წესით მოკრეფილია 9653 ტონა, ანუ დავალების 39,4 პროცენტი. მათ შორის მობილური მანქანებით 6069 და მცირე მექანიზაციით 3584 ტონა.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, სხვაობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით კვლავ საგრძნობია და იგი 3 ათას ტონას აღემატება.

ავამაღლოთ კრეფის ტემპი!

## განვიცდით საწვავის დეფიციტს

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ხეცერის ჩაის მეურნეობაში დღეისათვის დამზადებულია 218 ტონით ნაკლები ნედლეული. სულ მეურნეობის მშრომელებმა, მიუხედავად იმისა, რომ გამოაკლდათ შრომის უნარიანი 120 წევრი (თურქი მოსახლეობა), დაამზადეს 1408 ტონა ჩაის ფოთოლი. დღიური კრეფა აღემატება 30 ტონას. მეურნეობას აქვს საშუალება, მეორე ვეგეტაციის ნედლეული მცირე მექანიზაციით დღიურად დაამზადოს 40 ტონაზე მეტი, მაგრამ დამზადებულ ნედლეულს ხომ უნდა მიტანა ფაბრიკამდე. ისინი კი საწვავის მწვავე დეფიციტს განიცდიან, რის გამოც ფერხდება ნედლეულის ტრანსპორტირება ჩაის ფაბრიკებამდე, ადგილი აქვს დანაკარგებს.

მეურნეობის მაის-ივნისის გეგმის შესრულება პირველებმა უპატაკეს იმ ბრიგადებმა, რომელთაც შოთა მოლაშხია, არველოდი ფარცვანია და გურამ ზარანდია ხელმძღვანელობენ.

არენდული წესით მომუშავე ცამეტივე ბრიგადა ამაღლებს კრეფის ტემპს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უშელავათო ბრძოლა — სამართალდამრღვევებს!**

# პრინციპული, ქმედითი ზომების გატარებით

## საქალაქო და რაიონული საბჭოების ერთობლივ სესიაზე

ამასწინათ გამართულ ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ერთობლივ სესიაზე პრინციპული და საგნობრივი განხილვის საგნად იქცა საკითხი ზუგდიდში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში არსებული მდგომარეობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

სესიის მონაწილეთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუნავა. აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილების, პროკურატურისა და სახალხო სასამართლოების მუშაობა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და დანაშაულობათა დროულად აღკვეთისათვის არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. მისი დონე და სიმწვავე არ პასუხობს გარდაქმნის პრინციპებს.

გასული და მიმდინარე წლის მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ოპერატიული ვითარება არა თუ რამდენადმე უმჯობესდება, არამედ მეტად შემაშფოთებელ სურათს იძლევა. სახეზეა რიგ დანაშაულობათა მატების ტენდენცია.

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ მიმდინარე წელს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით იმატა ისეთი სახის დანაშაულობებმა, როგორიცაა ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობის მცდელობა, ავტომანქანების გატაცება და ა. შ. სესიას მიაჩნია, რომ აღნიშნული გარკვეულწილად განპირობებულია დამნაშავე ელემენტებში დაუსჯელობის რწმენის დამკვიდრებით, მომხდარ დანაშაულობათა გახსნის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებით. შინაგან საქმეთა განყოფილებას ამა წლის პირველი ივნისის მდგომარეობით ერიცხება გასულ და მიმდინარე წელს რეგისტრირებული დანაშაულიდან ათეულობით გაუხსნელი იმ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ნეგატიურ რეზონანს იწვევს ფართო საზოგადოებაში.

არადამაკმაყოფილებელია მუშაობა, რომელსაც სამართალდამცავი ორგანოები ეწევიან ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ავტოსატრანსპორტო შემთხვევების, სპეკულაციის, ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა. არასაკმარისია პროკურატურების მხრიდან ზედამხედველობა და კონტროლი მილიციის ქვეგანყოფილებების საქმიანობისადმი. მკვეთრ გააქტიურებას მოითხოვს სახალხო სასამართლოების მუშაობა საქმეების გამსვლელ სხდომებზე რეგულარული განხილვისათვის.

სესიაზე ღრმად დამაფიქრებელ გარემოებად იქნა მიჩნეული ის, რომ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ადმინისტრაციული ორგანოების გვერდით პრინციპულად არ დგანან და სათანადო აქტიურობას არ იჩენენ საქალაქო და რაიონული, სასოფლო საბჭოების აღმასკომები, მათი საზოგადოებრივი ფორმირებები, ქუჩის კომიტეტები, სახალხო რაზმელები და ა. შ.

აღნიშნული საკითხის გამო სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც დასახულია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი ზუგდიდში სამართალდარღვევათა აღსაკვეთად მუშაობის ორგანიზაციის რადიკალურად გარდაქმნის მიზნით.

≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈≈

**კულტურა და ყოფა: დავძლიოთ ძველი სტერეოტიპები**

# ჯერ საკუთარი თავი მოვამზადოთ

ნათქვამია: დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ საითკენ ვიდებთ გეზს. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, თუ საიდან მოვდივართ, როგორია ჩვენი ყოფის, ცნობიერების ძირები. ამ გამოთქმაში დროთა კავშირის ლოგიკა იკითხება. ადამიანთა ხასიათს, სულიერ ინტერესებს, ქცევათა მოტივებს ბუნებისა და საზოგადოების თვითგანვითარებადი პრინციპი განსაზღვრავს. ჩვენი თაობა, მისი სულიერი ღირებულებანი, ადათ-რიტუალები წარსულის კულტურულ მემკვიდრეობაზეა აღმოცენებული. მართალია, ჟამთა სვლამ, ისტორიულმა კატაკლიზმებმა, ყოვლად მიულებელი, ანტიჰუმანური, მდაბალი ვნებებით წაქეზებული მოვლენებითაც მოსცხო ჩირქი ერის ავტორიტეტს. მაგრამ აღნიშნულმა მანკიერებებმა ხალხურ ტრადიციათა ამ მუდმივ, კეთილ ფონდს მაინც ვერაფერი დააკლო და როგორც გაუხუნარი განძი ჩვენს თაობას გადმოულოცა.

ახლა არ ვთვლით საჭიროდ განსაზღვრული ეროვნული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გარშემო საუბრის გაგრძელებას. ამაზე ბევრიც თქმულა და დაწერილა. ჩვენი განსჯის საგანი მეტწილად ის დაუგეგმარი, გულსატკენი დამოკიდებულებაა, რასაც მოხელეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იჩენს ამ ფენომენისადმი.

კულტურისა და შეგნების დეფიციტი, ჩვენდა სამწუხაროდ, უოველდღიური ხინანდვილის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან გვიმზერს. მაგრამ მოდით, ამაზე საუბარს შევეშვათ. მკითხველთა ყურადღება ისევ ჭდა ისევ ძველთაძველ სატკივარს მივაპყროთ.

წარსულის იდეალიზაციას ვერავინ დაგვწამებს, თუ კი ეროვნული ჩვეულებებისა და რიტუალების ხელაღებით გამკილავებს არ დავეთანხმებით. საქმის საზიანოა ისეთი პოზიცია, როცა მამა-პაპათა წმინდა ხელებით და უხინჯო გულით ნატარებ და ნალოლიავებ ადათ-წესებს ყბადაღებული მავნე გადმონაშთებით ვნათლავთ. წარსულს თავისი ცოდვებიც ეყოფა. საუკუნეების მიერ ლანატოვარი ჩვევა, თუ მანკიერი ნიშანი დღემდე ბორკილად ადევს ჩვენს ფსიქიკას, ხასიათს. ტრადიციათა თანამედროვე გამყალბებლებზე საუბრისას, ეგებ უფრო უპრიანი იყოს ასეთი ფორმულირება: დაგმობასა და შერცხვენას იმსახურებენ ყველა ისინი, ვინც ფორმას, სამოსს შინაარსი დაუმახინჯა, ეროვნული კოლორიტი და პეწი გამოაცალა. უფრო მეტიც. თვალთმაქცურად ირგებს მამაპაპური ტრადიციის წილაბს და ფაქტიურად დიდძალი თანხის მომხვეჭელის როლში გვევლინება.

ან როგორ გინდა რაიმე გამართლება მოუძებნო ასეთ წესს. 50 კაციან სუფრაზე სამასი კაცის სამყოფ ხორაგეულს დავაზვინებთ. ამდაგვარ საქციელში ხომ პროვინციული კუდაბზიკობა იკითხება.

ძალზე სქელი კანი უნდა გვქონდეს შუბლზე, რომ მოტირალები დაიქირავო, მოაწყო რადიოფიცირება გულისამრევი, იაფფასიანი მელოდიებისა და გარითმული კუპლეტების მოსასმენად როგორ შევწუხდით, როცა ერთერთი პატივსაცემი პიროვნება თვალცრემლიანი, დიდი გულისყურით ისმენდა რეპროდუქტორიდან ასეთ კუპლეტებს და სახეზე კმაყოფილება ეხატა. ნუთუ ასე გაიცვითა ჩვენი თავმოყვარეობა, ნუთუ ასე დაკნინდა ჩვენი გემოვნება. ასეთ დროს ძნელია დაჯერება, რომ ოდინდელი მაღალკულტურული, იშვიათი სულიერებით ქებული კოლხეთის შთამომავალნი ვართ. ჰირს, ძალზე ჰირს, ღმერთმანი. ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, ვის აძლევს ხელს ამ უაღრესად ფაქიზი სოციალური საკითხის ასე თვითდინებაზე მიშვება. მხოლოდ იმ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებიც ხელგაშლილად გასცემენ სურსათ-სანოვაგეს წრეგადასული ქორწილებისა და ქელეხებისათვის. ფსკერდაცხრილულ ქვაბში წყალი რომ ჩაასხა ისეთია, მავანთა თვითნებობის მარტო მორალური შეგონებით შეჩერება რომ მოინდომო. ამოსაქოლავია ყველა ის ხვრელი, საიდანაც უზნეობა მიედინება, საიდანაც ასე ანგარიშმიუცემლად გადის დიდძალი რაოდენობით საკვები პროდუქტები. მაღაზიებისა და სახადილოების ცარიელი დახლების ფონზე ასეთი ქმედება მკრეხელობაა. მწარმოებელი — სავაჭრო ორგანიზაცია — ჰირისუფალი. უწესრიგობის ეს კონვეიერი სანამ თავის ნებაზე იმოძრავებს სასურველ შედეგებზე ფიქრი ზედმეტია.

წარსულს ჩაბარდა დრო, როცა ეროვნული ტრადიციების გამყალბებლებს რეიდებით, გვარების დასახელებით, სხვადასხვა ადმინისტრაციული სანქციებით ვებრძოდით. არ მოგვიტანა ამან შედეგი. და არც არასოდეს მოგვიტანს, თუ ცხოვრებამ თვით ჩვენს მორალში, დამოკიდებულებაში არ შეიტანა კორექტივი. მოსაფიქრებელია ღონისძიებათა ახალი სისტემა, ახლებური მიდგომა აღნიშნული ანომალიის აღსაკვეთად.

ხვალინდელი საქართველო, დემოკრატიულად, სამართლებრივად, ზნეობრივად მოწესრიგებული სამშობლო საშინლად შეცბუნდება, თუ მზად დავხვდით. თუ ყოველი ჩვენგანი ზნეობრივად, ესთეტიკურად არ შეიცვალა, შინაგანად არ განიწმინდა. და ამიტომ, თანამოქალაქენო! გვეყო რაც დრო დავკარგეთ. ერთმანეთს ამოვუდგეთ მხარში, შევიცვალოთ გულები, მოვამზადოთ საკუთარი თავი მომავალი საქართველოსათვის.

გაზეთ „ოდიშის" რედაქცია

---

# კოსტასთავის შეთქმულება

745 წლის წინათ, დაახლოებით 1245 წელს, ჯავახეთში მოხდა ქართველ დიდებულთა შეთქმულება (კოხტასთავის შეთქმულება) მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ.

მე-13 საუკუნის ოცდაათიან წლებში საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს ხვარაზმელთა შემოჭრამ ჯალალედინის მეთაურობით. ამ უკანასკნელს მოჰყვა მონღოლთა შემოსევა, რომლებმაც ქვეყანა დაარბიეს, ააოხრეს, გაძარცვეს და მოსახლეობა მასობრივად გაჟლიტეს... ხოლო იქ დამკვიდრების შემდგომ, მონღოლები საქართველოს მოწყობას იმავე წესით შეუდგნენ, როგორიც თვითონ მათ ჰქონდათ, ე. ი. საქართველო დუმნებად დაჰყვეს და მთელი საქართველოს სახელმწიფო რვა ათიათასეულად, ან ბევრეულად იყო დანაწილებული.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის საქართველო უმეფოდ იყო დარჩენილი, მხედრობის უმეტესობა მონღოლთა სამსახურში ათენალამებდა... მემატიანე ასე გადმოგვცემს მაშინდელ მდგომარეობას: „ვინათგან განითქმოდა ყოველგან უმეფობა საქართველოსა... და უცალობა ქართველთა—შეკრბა სიმრავლე ფრიადი და გამოემართნეს იხრებად „საქართველოსა"....

ასეთმა უკიდურესმა განსაცდელმა გამოაფხიზლა ქვეყნის მმართველნი.—„ამ ჰირთა შინა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტასთავსა, იმერნი და ამერნი: ეგაისლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპრი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი (ქართლელნი), თორელი გამრეკელი, სარგის თმოგუელი, მესხნი და ტაოელნი. და ყოველნი იტყოდეს: რა ვყოთ?" შეკრებილთ, რასაკვირველია, აწუხებდათ საერთო საქმე—ქვეყნის მტარვალთაგან განთავისუფლება. კრებაზე გამოითქვა ჩივილი იმის გამო, რომ ქართველები უმეფოდ იყვნენ დარჩენილნი: „არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღუარ გუექმნეს და ვჰბრძოდეთ თათართა". აქვე ისიც ითქვა, რომ ისინი ურთიერთშეთანხმებული და გაერთიანებული ძალით კი არ აწარმოებდნენ ბრძოლას, არამედ ერთმანეთისაგან განდგომილნი იყვნენ და შედეგიც სახეზე ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, მოთათბირეებმა დაადგინეს, რომ მაინც „არს ღონე", თუმცა „უმეფო ვართ, არამედ შევკრბეთ ყოველნი და ვბრძოდეთ თათართა"-ო. ამრიგად, დაადგინეს აჯანყება მონღოლების წინააღმდეგ. შეთანხმდნენ, რომ დანიშნულ ჟამს ჯარი ქართლში შეიყრებოდა. ამის შემდგომ ცოტნე დადიანმა და რაჭის ერისთავმა შეთქმულების ადგილი დატოვეს. დანარჩენებიც ის-ის იყო წასვლას აპირებდნენ, რომ ამ დროს მონღოლები მოულოდნელად წაადგნენ თავზე. ეტყობა, ვინმემ დაასმინა შეთქმულები. ისტორიკოსის სიტყვით მონღოლები „მივიდეს კოხტას თავსა" თუ არა, იქ „დახვდეს ყოველნ წარჩინებულნი საქართველოსანი". ქართველებს წინააღმდეგობის გაწ ევა არ უცდიათ, მათი ლაშქრ სიმცირისა და მოუმზადებლობის გამო და მათაც უკვე შეპყრ ობილნი წარსხეს ქვეყანას ანისისა, ადგილსა რომელსა ეწოდე ბის შირაკავანი".

დაკითხვა დაიწყო. მონღოლებ ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რათა შეპყრობილებს ეღიარ ებინათ სიმართლე: „რა არს შეკრე ბა თქვენი, არა ითქმთ განდგომ ლებასა?" შეთქმულები კი ა გატყდნენ. მათ პირი წინასწარ ჰქონდათ შეკრული და ყველა ერთნაირად პასუხობდნენ: „არა განდგომად შევკრბით, არამე რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი გაგიჩინოთ". მონღოლთ ნოინი მეტად გააცოფა ქართველე ბის ასეთმა პასუხმა და „ბრძან განძარცვა ყოველთა მხედართ შეკრვა ყოველთა, სიცხესა შინ ზიმველთა... ზედა დასხდომა დ ყოველთა დღეთა ჰკითხვიდეს მის ეზსა შეკრებისასა და უკეთუ არ აღიარონ, სიკვდილსა მისცენ ყოვ ელნი ესე ზემოხსენებულნი მთავ რნი". (ვახუშტის ცნობით თოკით გაკრულებსა და გაშიშვლე ბულებს თაფლი წასცხეს და მზე დასხესო). ყველაფერი ეს მონღოლ თა ნოინს იმისათვის დასჭირდ რათა რაც შეიძლებოდა ჩქარა გა გო ქართველებისაგან სიმართლ მაგრამ შეთქმულების მონაწილე ვერც ამ ხერხმა გატეხა.

როდესაც დათქმული დრო მოა ლოვდა, ცოტნე დადიანი სამხრ შეყრილ ლაშქრითურთ რკინ ჯვარში მოვიდა, სადაც აუწყ შეთქმულებათა გაცემის ამბავ ცოტნე დადიანი ამის გაგონება მწუხარე იქმნა უზომოდ და თვის სიკუდილად და სირცხვილად შერ ცხა საქმე იგი." მან თავისი ლა ქარი შინ დააბრუნა, თვითონ ორი კაცის თანხლებით, ანისის გაეშურა, სადაც შეთქმულებ ეგულებოდა. ანისში მისულს მეტ მძიმე სურათი დახვდა. ცოტ ცხენიდან ჩამოხტა და თავის ამხანაგების საშინელი ბედი ნებაყ ოფლობით გაიზიარა. ეს უცნაურ მოქმედება გამოდგა მონღოლების თვის და იმათმაც დაუყოვნებლ შეატყობინეს ნოინს.

დაკითხვის დროს ცოტნემ იგ უპასუხა ჩორმაღანს, რაც ალ სხვა დიდებულებმა უთხრეს, თუ ამისათვის ასეთი სასჯე დაგიწესებიათ, მეც მათი ხვედ მინდა გავიზიარო. ცოტნეს ეს ცობამ მეტად გააკვირვა და გაა ნოინი. მეტი რა გზა იყო, უკანასკნელმა დაუჯერა ცოტნეს მასთან ერთად სხვებიც გაათავის ფლა, როგორც უდანაშაულონი.

მერაბ ჯიქია,

თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტ ტის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დავაჩქაროთ ტემპი, დავძლიოთ ჩამორჩენა!

## ქალაქ ზუგდიდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1990 წლის იანვარ-ივნისის თვეში

სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების საქმეში კვლავ არის დაძაბულობა, წარმოების ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 9,2 პროცენტით, პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულების იანვარ-ივნისის თვის გეგმის შესრულებას დააკლდა 4,8 პროცენტი და მომხმარებელს ვერ მიეწოდა 4897-ათასი მანეთის პროდუქცია, ვერ შესრულდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმა და მან შეადგინა 97,8 პროცენტი, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულდა მხოლოდ 86,9 პროცენტით, გადაჭარბებით შესრულდა საცალო საქონელბრუნვისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის გეგმები.

ცალკეული დარგების მიხედვით სახალხო მეურნეობის განვითარების 1990 წლის პირველი ნახევრის შედეგები შემდეგ სურათს იძლევა:

### სოციალური განვითარება

1990 წლის პირველი ნახევრისათვის საწარმო პერსონალის საშუალო თვიურმა ხელფასმა 251,6 მანეთამდე შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეს 6,0 პროცენტით აღემატება, ხოლო მშენებლობაში 288 მანეთამდე გაიზარდა, რაც გასული წლის დონეს 14 მანეთით აღემატება.

სამრეწველო საწარმოთა პერსონალის ხელფასის ფონდის მოცულობამ 10269,6 მანეთი შეადგინა. ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის თანაფარდობა მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შესუსტებული იყო.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებამ (ალკოჰოლიანი სასმელების ჩათვლით) 89069 ათასი მანეთი შეადგინა, რაც 9475 ათასი მანეთით, ანუ 9,4 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების იანვარ-ივნისის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (საცალო ფასებით, ათასი მანეთი).

| | ფაქტობ. წლის დასაწყის | გეგმის შესრულების პროცენტი | ზრდის ტემპი პროცენტებში |
|---|---|---|---|
| სახალხო მოხმარების საქონელი (ალკოჰოლიანი სასმელების ჩათვლით) | 89069 | 97,5 | 90,4 |
| მათ შორის: | | | |
| სახალხო მოხმარების საქონელი (ალკოჰოლ. სასმელ. გარეშე) | 84523 | 97,6 | 89,4 |
| აქედან: | | | |
| სასურსათო საქონელი | 60058 | 104,2 | 85,9 |
| არასასურსათო საქონელი | 24465 | 83,2 | 91,5 |
| მათ შორის: | | | |
| მსუბუქი მრეწველ. საქონ. | 8958 | 90,1 | 90,5 |

ცალკეული სახის კვების პროდუქტების წარმოება 1990 წლის იანვარ-ივნისში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | ფაქტობრივად წლის დასაწყისიდან | გეგმის შესრ. პროცენტი | ზრდის ტემპი პროცენტებში |
|---|---|---|---|
| ხორცი (სამრ. გამოშ.) ტონა | 1944,6 | 88,0 | 186,0 |
| ძეხვის კარაქი, ტონა | 8,2 | 149 | 91,1 |
| სალი რძის პროდუქცია (რძეზე გადაანგარიშებით (ტონა) | 1279 | 112,2 | 112,9 |
| ყველი (ტონა) | 181,3 | 78,8 | 76,8 |
| პური და პურფუნთუშ. (ტონა) | 8575 | 107,2 | 101,5 |
| საკონდიტრო ნაწარმი (ტონა) | 82 | 100,0 | 105,2 |
| კონსერვი, ათასი პირობითი ქილა | 654 | 100,6 | 82,2 |
| ნატურ. ჩაი (დაფასოებ.), ტონა | 6201,5 | 99,2 | 95,6 |
| უალკოჰ. სასმ. ათ. დ-ლიტრი | 186,4 | 113,7 | 113,7 |
| ალკოჰოლიანი სასმ. ათ. დ-ლიტ. | 177,8 | 104,3 | 103,7 |

მიმდინარე წელს წინა წელთან შედარებით შემცირეს ხორცის, ყველის, კონსერვის და ნატურალური ჩაის წარმოება, შესაბამისმა სამრეწველო საწარმოებმა.

სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის გამოშვების გეგმა ქალაქის სამრეწველო საწარმოების მიერ შესრულდა მხოლოდ 88,2 პროცენტით. მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფაიფურის ქარხნის მიერ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაში, რომელმაც გეგმა 78,3 პროცენტით შეასრულა. არ შესრულებულა აგრეთვე სამკერვალო ნაწარმის წარმოების გეგმები.

### საცალო საქონელბრუნვის და ფასიანი მომსახურება

1990 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ 60026 ათასი მანეთი შეადგინა და წინა წელთან შედარებით ზრდის ტემპმა 113,6 პროცენტს გადააჭარბა, რითაც გეგმა შესრულებულ იქნა 103,7 პროცენტით.

საზოგადოებრივი კვების ქსელში საქონელბრუნვის გეგმა შესრულდა მხოლოდ 98,1 პროცენტით.

მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების მოცულობამ 7373,4 ათასი მანეთი შეადგინა და გეგმა შესრულებულ იქნა 103,6 პროცენტით.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გეგმების შესრულება ვერ უზრუნველყვეს: ს-გ „საქქალაქმრეწვმა", ინდბინათმშენებლობის სამმართველომ, ფაიფურის ქარხანამ, ზუგდიდვაჭრობის სამმართველომ, განათლების განყოფილებამ, კულტურის განყოფილებამ, მუზეუმმა და საკოლმეურნეო ბაზარმა.

საყოფაცხოვრებო მომსახურებათა რეალიზაციის მოცულობამ 3034,2 ათასი მანეთი შეადგინა და გეგმა 104,9 პროცენტით შესრულდა.

### მრეწველობა

სახელმწიფო შეკვეთისა და მომსახურებასთან პირდაპირი კავშირის შესაბამისად, პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულებულია 95,2 პროცენტით, მომხმარებელს ვერ მიეწოდა 4897,0 ათასი მანეთის პროდუქცია.

სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ვერ უზრუნველყო 8 სამრეწველო საწარმომ, როგორიცაა ს-გ „საქქალაქმრეწვი", ადგილმრეწველობის კომბინატი, საკონსერვო ქარხანა, ყველ-კარაქის ქარხანა, რკინა-ბეტონის ქარხანა, უსინათლოთა საზოგადოების საწარმო და ჩაის კომბინატი.

მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებულ იქნა 100481 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რაც 10129 ათასი მანეთით ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდში გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა სამრეწველო საწარმოებში შეადგინა 93,2 პროცენტი.

ცალკეული ორგანიზაციების მიხედვით შრომის ნაყოფიერების და პროდუქციის მოცულობის მატების ტემპი 1990 წლის იანვარ-ივნისში შემდეგი მონაცემებით ხასიათდება (პროცენტებში).

| | ზრდის ტემპი | |
|---|---|---|
| | შრომის ნაყოფ. | პროდ. მოცულობა |
| ს-გ „საქქალაქმრეწვი" | 98,2 | 96,4 |
| ფაიფურის ქარხანა | 87,8 | 93,0 |
| სამკერვალო ფაბრიკა | 64,8 | 45,6 |
| ადგილმრეწველობის კომბინატი | 95,5 | 70,7 |
| ჩაის კომბინატი | 83,2 | 81,8 |
| ექსპერიმენტ. ჩაის საწ. ფაბ. | 130,2 | 124,2 |
| საკონსერვო ქარხანა | 80,9 | 83,8 |
| ღვინის ქარხანა | 86,9 | 104,8 |
| ლუდისა და ხილწყლების კომბ. | 109,5 | 109,5 |
| პირუტყვის გადამუშ. ქარხ. | 91,5 | 90,0 |
| პურპროდუქტების კომბ. | 115,1 | 106,4 |
| პურკომბინატი | 102,8 | 98,1 |
| ყველ-კარაქის ქარხანა | 79,6 | 91,8 |
| რკინა-ბეტონის ქარხანა | 116,9 | 200,7 |
| მუსიკალურ-ქორეოგრ. საწ. | 60,3 | 54,5 |
| ყრუ-მუნჯთა საზოგ. საწ. | 58,7 | 62,00 |
| უსინათლოთა საზოგ. | 84,0 | 84,0 |
| პოლიგრაფიული საწ. გაერთ. | 100,7 | 100,7 |
| წყალკანალის სამმართველო | 100,0 | 100,0 |

**სახელმწიფო სტატისტიკის ზუგდიდის საქალაქო განყოფილების ცნობა**

### კაპიტალური მშენებლობა

ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების მიერ საიჯარო სამშენებლო სამუშაოების მოცულობა დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 1990 წლის იანვარ-ივნისის თვეში შეადგინა 17742 ათასი მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20424 ათასი მანეთისა და საიჯარო სამუშაოთა გეგმა შესრულებულ იქნა 86,9 პროცენტით, მათ შორის საკუთარი ძალებით გეგმა 88,7 პროცენტით შესრულდა.

ცალკეული ორგანიზაციების მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება შემდეგნაირად ხასიათდება:

| | სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება (პროც) | |
|---|---|---|
| | დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე | მათ შორის საკუთ. ძალებით |
| ენგურჰესის სამშ. სამმართ. | 99,1 | 105,0 |
| ტრესტ №12-ის №3 სს | 43,8 | 41,5 |
| „———" მ მ კ №138 | 80,5 | 67,4 |
| „———" მექანიზაც. სამმართ. | 100,9 | 105,3 |
| „———" მოსაპირკ. სამუშ. უბანი | 103,5 | 94,4 |
| ტრესტ №2-ის სარემ. სამ. უბანი | 100,0 | 100,0 |
| „საქკომუნსპეცმშენის" უბანი | 101,5 | 100,0 |
| „საქჩაის" სარ. სამონტაჟო უბანი | 100,0 | 101,5 |
| კომუნ. განყ. სარ. სამშ. საამ. | 56,6 | 52,1 |
| ვაჭრობის სამ. სარ. სამშ. სამმარ. | 100,0 | 100,1 |

კაპიტალურ დაბანდებათა მთლიანმა მოცულობამ შემკვეთ ორგანიზაციებში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შეადგინა 8688 ათასი მანეთი, რის შედეგადაც კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტი ათვისებულ იქნა 91,3 პროცენტით. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ზრდის ტემპმა 44,9 პროცენტი შეადგინა, ხოლო საბინაო მშენებლობის კაპიტალური დაბანდება შესრულებულ იქნა მხოლოდ 26,5 პროცენტით.

### ტრანსპორტი

1990 წლის პირველ ნახევარში საერთო სარგებლობის სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ ნაცვლად დაგეგმილი 1408 ათასი ტონისა, გადაზიდულია 1353,1 ათასი ტონა ტვირთი და გეგმა შესრულებულ იქნა 96,1 პროცენტით. მსუბუქი ტაქსების და სამგზავრო ავტობუსებით ფასიანი მომსახურებიდან მიღებულ იქნა შესაბამისად 1214 ათასი და 1748 ათასი მანეთის შემოსავლები და გეგმა შესრულებულ იქნა 94,9 და 102,1 პროცენტით.

სახ. სტატისტიკის ზუგდიდის საქალაქო განყო. ფილება.

„ოდიშის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# წესრიგი მოქალაქეებმაც უნდა დაიცვან

**გაზეთ „ოდიშის“ 10 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ კორესპონდენციას სათაურით „როდის მოწესრიგდება“, — უპასუხებს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი, მილიციის მაიორი ფ. კიფიანი.**

აღნიშნული კორესპონდენცია განიხილა შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ავტოინსპექციამ. სწორია წერილის ავტორის შენიშვნა იმის შესახებ, რომ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვის მხრივ ბაზრის წინა მდებარე ტერიტორია, ყველაზე დაზიანებული უბანია, ეს ნამდვილი ფაქტია და ამის უარყოფა არ შეიძლება. ავტოინსპექცია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ აქ დამყარდეს ჯეროვანი წესრიგი. მაგრამ უმადურობა იქნებოდა არ დავინახოთ და არ შევაფასოთ ის მუშაობა, რასაც ავტოინსპექციის მუშაკები და საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები აქ ეწევიან. ბაზრის წინა მდებარე ტერიტორიაზე დაწესებულია ავტოინსპექტორთა და საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა ყოველდღიური მორიგეობა. პარასკევსა და კვირას წესრიგის დამცველ მორიგეთა რიცხვი ერთი ორად იზრდება.

მეორე საქმეა როგორ უზრუნველყოფენ წესრიგს წესრიგის დამცველები. ამ ნაწილში წერილის ავტორის კრიტიკა ავტოინსპექციის მისამართით სწორია, მაგრამ წესრიგის დაცვაში თვითონ მოქალაქეებმაც უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა, მხარში უნდა ამოუდგნენ ავტოინსპექციის მუშაკებს.

ბაზრის წინ რამდენიმე ადგილას არის საგზაო ნიშანი, რომელიც მიანიშნებს იმას, თუ სად შეიძლება მანქანის გაჩერება და სად არა. სამწუხაროდ ავტომანქანის მფლობელთა დიდი ნაწილი არ იცავს ამ წესს და მანქანას იქ აჩერებს სადაც მოესურვება. ამისათვის არსებობს გარკვეული სანქციები ჯარიმები, გაფრთხილება. ავტოინსპექცია ყველა ამ სანქციას იყენებს, მაგრამ შედეგი მაინც არასახარბიელოა.

არც ფეხით მოსიარულენი იცავენ წესებს. ავტობუსის გაჩერებასთან ქმნიან ქაოსურ მდგომარეობას, გადადიან ცენტრალური ხავალი გზის ნაწილში, სადაც ავტომანქანების ინტენსიური მოძრაობაა და ფეხით მოსიარულეთათვის საშიშია.

ხაკოლმეურნეო ბაზართან და ყველგან, სადაც ავტობუსების და ტაქსების გაჩერებაა მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი გადადის და იკავებს ავტომანქანის სავალ ნაწილს. იქ, სადაც საგზაო ნიშნებია, როგორც წესი ინსპექტორთა პატრულირება არ ხდება. ნიშნები იმის მაჩვენებელია, რომ მძღოლები უნდა დაემორჩილონ არსებულ წესს. ავტოინსპექციამ კი პატრულირება უნდა გაუკეთოს გზის იმ მონაკვეთს, სადაც საგზაო ნიშნები არ ჰკიდია და ის უბანი დაზიანებულია ავტოსაგზაო შემთხვევებით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებას არა ყავს იმდენი თანამშრომელი, რომ ყოველი აკრძალული ნიშნის ქვეშ დააყენოს საგზაო ავტოინსპექტორი. თუ ჩვენი ქალაქის ნამდვილი პატრიოტი ვართ და გვიყვარს იგი, ყველამ უნდა ვიზრუნოთ, რათა დავიცვათ მოძრაობის წესები.

და ბოლოს ერთი საყურადღებო ფაქტის შესახებ. საკოლმეურნეო ბაზრის წინ მიწისქვეშა გადასასვლელის გაყვანით დიდი საქმე გაკეთდა. ვიდრე იგი გაკეთდებოდა მოქალაქეები კატეგორიულად მოითხოვდნენ მიწის ქვეშა გადასასვლელის მშენებლობის დაჩქარებას. მაგრამ ახლა როცა იგი გვაქვს თითქმის არავინ სარგებლობს ამ სიკეთით. საკითხავია რატომ?

თუ მოქალაქენი მიწისქვეშა გადასასვლელით ისარგებლებენ ბაზრის წინ გამავალ მაგისტრალურ გზაზე ავტომანქანების ნორმალური მოძრაობა არ შეფერხდება.

## მოგვეწონა, გვესიამოვნა

ამასწინათ №133 მოძრავ-მექანიზირებული კოლონის მუშამოსამსახურეებისათვის მოეწყო ექსკურსია ვარძიაში.

დიდი ინტერესით დავათვალიერეთ ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, ახალციხის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც აგებულია უძველესი ციხე-პლაცდარმის შიგა ტერიტორიაზე. ყურადღება მიიპყრო თმოგვის ციხე-სიმაგრემ, სხვა ღირსშესანიშნავმა ადგილებმა.

ექსკურსიის მონაწილენი ღრმა შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ შინ. მგზავრები ემადლიერებიან ავტოკოლონა №2668-ის მძღოლს როინ ფარცვანიას, ექსკურსიამძღოლს ზაირა ჰეჟიას, რომელთაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ღონისძიების კეთილად ჩატარებაში.

**ნ. სორდია,**

**№133 მოძრავ-მექანიზირებული კოლონის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.**

---

ზუგდიდის საცხენოსნო სპორტულ კომპლექსთან, —სსრ კავშირის სპორტის ოსტატის, საქართველოსა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, დაბრკოლებათა გადალახვაში საქართველოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონისა და სტიპლჩეიზში საქართველოს სახტელერადიოს დიდი პრიზის მფლობელის **ოთარ ჯაფარიძის** ინიციატივით, მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან ყალიბდება ოლიმპიური რეზერვების მოსამზადებელი სასწავლო ჯგუფები ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში.

ჯგუფებში მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე 11-15 წლის მოსწავლეები. სწავლება ფასიანია.

ამასთან გრძელდება მოსწავლეთა მიღება უფასო სწავლების სამოსწავლო ჯგუფებში ადრე გამოცხადებული პირობებით.

მსურველთა მიღება იწარმოებს ყოველდღე, გარდა კვირისა.

**მისამართი:** სოფ. რუხი, იპოდრომი.

**საცხენოსნო სპორტკომპლექსის დირექცია.**

---

საქართველოს სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით 25 ივლისიდან იწყება საზოგადოების 1990 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას მიიღებს წინასწარი განაცხადით 32 გუნდი.

მომზადებული შევხვდეთ „შევარდენის“ პირველ ჩემპიონატს.

**„შევარდენის“ რაიონული საბჭო.**

---

## სპორტი

ამასწინათ პოლონეთის ქალაქ ლუბლიანაში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად მიწვეული იყო ზუგდიდის „ოდიშის“ მოსამზადებელი ჯგუფების 1976-1977 წლებში დაბადებული ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი. ზუგდიდელი ჭაბუკები მეორეჯერ მონაწილეობდნენ ლუბლიანაში გამართულ საერთაშორისო მატჩებში. გასულ წელს კი ზუგდიდელებმა დასამახსოვრებელი შეხვედრა მოუწყვეს აღნიშნული ქალაქის თანატოლებს. ამდენად შეხვედრებმა ტრადიციული ხასიათი შეიძინა, რაც მრავალმხრივ სასარგებლოა ორივე მხარისათვის.

# სტუმრად ლუბლიანელ თანატოლებთან

ზუგდიდელებმა ოთხი შეხვედრა ჩაატარეს და ოთხივეში წარმატებას მიაღწიეს, მოუგეს „მოტორს“ 5:0, „სიგნალს“ 2:1, „ბუდიველნიკს“ 4:1, და ქალაქის ნაკრებს 8:2.

—გარდა იმისა, რომ შეხვედრები კორექტულად, მაღალ დონეზე ჩატარდა შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს შეექმნათ სტუმრებისათვის სანიმუშო საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობები,—განაცხადა გუნდის მწვრთნელმა გ. კობახიძემ,—მოგვათავსეს საუკეთესო სასტუმროში. მიღება მოგვიწყვეს ქალაქის ხელმძღვანელებმა. დიდი ესთეტიკური ტკბობა მოგვანიჭა ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებამ.

აგვისტოს თვეში საპასუხო ვიზიტად გვეწვევიან პოლონელი ჭაბუკები. იმედი გვრჩება ყურადღებას არ მოაკლებენ ქალაქის ხელმძღვანელები, ორგანიზაციათა მესვეურები, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ განახლებული საბჭო, მშობელთა კომიტეტი.

რაც შეეხება ჩატარებულ მატჩებს, ამაზე შედეგებიც მეტყველებს. ჭაბუკებმა შესანიშნავი მონდომება გამოავლინეს, რაც სათანადოდ აღნიშნა ადგილობრივმა პრესამ.

გუნდი პოლონეთში ასეთი შემადგენლობით სტუმრობდა: მეკარეები თორნიკე ჯაბუა და რომან ლურწკაია. მცველები: გ. შენგელია, მ. მოსია, ე. მელუა, დ. ციკოლია, რ. მარღია, ნახევარმცველები: პ. ვადაჭკორია, ო. ხუბუა, დ. როგავა, პ. ხარჩილავა, პ. ქაძინაძე, თავდამსხმელები: ლ. შამუგია, მ. ჯიქია, დ. წითლიძე, ლ. ჩიტაია, თ. კვარაცხელია.

ზუგდიდელი ჭაბუკები ასევე ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად მიწვეული არიან შვეციასა და იუგოსლავიაში.

**პ. ფიფია.**

---

რედაქტორი

**აკ. მანტურია.**

---

მამა ზაურ დგებუაძე, და ნანა, ძმა ზურაბი, ძამიდა ძაბული, მამიდაშვილი მანანა ხორავა, ბიცოლა ნონა, ბიძაშვილები ხათუნა, კახა დგებუაძეები, დეიდაშვილი მერაბ თოლორაია, ბაბუა ევტროფი გარდავა, ბიცოლები შურა, ლამარა დგებუაძეები, ბიძები ბონჩია თოლორაია, ნუგზარ გარდავა, ბიძაშვილები მედიკო, ნუგზარ, ზურაბ, თემურ დგებუაძეები ოჯახებით იუწყებიან

**ზვიად ზაურის ძე დგებუაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26, 27 ივლისს. დაკრძალვა 28 ივლისს 18 საათზე. გამოსვენება ზუგდიდი, ლუქსემბურგის ქ. 4.

---

შვილები: ნოდარი, ფაჩუ, თამარა, თინიკო, გული, ნუნუ. ნაირა, და გოგუცა, რძლები ნელი ბულია, ვერა კითაია, რუსიკო ჩხეტია, სიძეები გივი აბსანძე, ბიჭიკო გასაშვილი, ზურაბი ახალაია, ჯიმშერი გოგოხია, მერაბი მოსია, ნოდარი ხუციშვილი, გოდერძი ხოჭოლავა, ფრიდონი ურჩავა, დისშვილები: იგორი, ზოია. ანზორი ჯალაღონიები, ძმისშვილები: ინდიკო, გურამი, შვილიშვილები: ზურაბი, მედიკო. მანანა, კობა, მამისა ქობალიები, ლოთი, ლიანა ჯიქიები, ემა რომანი, რამაზი გასაშვილები. მაია, ლადო გოგოხიები, თენგიზი ახალაია, მამუკა, ნონა. გია. ჯონი აბსანძეები. მანუჩარი, დათა მოსიები. მაზლიშვილი გოგოლა ქობალია, შვილთაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**ლენა გერასიმეს ასულ კითაია - ქობალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 ივლისს. დაკრძალვა 26 ივლისს ს. ოდიშში.

---

მეუღლე ნანული, შვილები: ნაირა. ჯემალი. და ვალია, რძალი აზა ქარდავა, სიძეები: შერმადინ ნანავა, კახა გვასალია, შვილიშვილები: ჯინა. ირინა, იკა, სიდედრი ჰაჟუ, ცოლისდები: ეთერი, ნათიკო. ნათელა, ცოლისძმა ველოდი ჰანტურიები, დისშვილები: ვალოდია, ტოლიკი, ლეილა, ტანია ნიკანიუკოვები, მზახლები: ანტისა ქარდავა, ნათელა, იპოლიტე ნანავები, სვეტლანა, გურამ გვასალიები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**გული (ნაპოლეონ) დიომიდეს ძე კარტოზიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25. 26. 27 ივლისს. დაკრძალვა 28 ივლისს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ეგრისის ქ. 30-დან.

---

ჟორჟი კანკია და ვახტანგი ქობალია ოჯახებით იუწყებიან

**ელვარდ ტოლიშას ძე ჭურღულიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის მეცხრე საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება

**ალექსანდრე ალიოშას ძე ყურაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

წალენჯიხის სატყეო სამრეწველო კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების კოლექტივი იუწყება თანამშრომლის

**ალექსანდრე ალიოშას ძე ყურაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ძმა გივი, ძმისშვილები: ნანა, ბადრი, ნინო, შვილიშვილი ირაკლი ეხვაიები, რძლები: ია ბესელია, მედეა ქადარია იუწყებიან

**ვარვარა ბაჭგუს ასულ ეხვაიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ივლისს, სოფელ ნაბაკევში. (გალის რაიონი).

---

მერაბ ჰეჟია და ვახტანგ შელია ოჯახებით იუწყებიან სიძის

**ბიძინა არჩილის ძე სეკანიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 ივლისს მეორე ოტობაიაში (გალის რაიონი).

---

შვილი ნაირა კარტოზია, სიძე შერმადინ ნანავა, შვილიშვილი ირაკლი ნანავა იუწყებიან

**ნაპოლეონ (გული) დიომიდეს ძე კარტოზიას**

გარდაცვალებას.

---

კორცხელის სასოფლო საბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობის გამგეობა, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან

**გიორგი (ჟორჟი) ასტამურის ძე კვარაცხელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დეიდა შურა ჯაფარიძე, დეიდაშვილები: ბაბუცა, სერიოჟა. ანტიფო ბუკიები ოჯახებით იუწყებიან

**ნოდარ ნიკოლოზის ძე ჯახუას**

გარდაცვალებას.

---

ძმისშვილები ინდიკო და გურამ კითაიები ოჯახებით იუწყებიან

**ლენა გერასიმეს ასულ კითაია - ქობალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 86507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-28-69, პას[illegible]ლი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12 რადიორედაქციის —2-47-08

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 58 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3467

ეროვნული ბიბლიოთეკა